**თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**მორიგი სხდომის**

**ო ქ მ ი № 10**

**28 სექტემბერი 2023 წ.** **ქ. თელავი**

**სხდომას ესწრებოდნენ:** 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 32 დეპუტატი :

**თავმჯდომარეობდა:** თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

**თენგიზი მთვარელიშვილი;**

**ესწრებოდნენ:**

| | |
|---|---|
| საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე | **მამუკა ბურდიაშვილი;** |
| საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: | **მიხეილ დაღუნდარიძე;** |
| საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე | **ზურაბ ლილუაშვილი;** |
| სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე | **ლევან კოჭლოშვილი;** |
| საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე | **გიორგი ხაჭაპურიძე;** |
| საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე | **თინათინ ხანჯალიაშვილი;** |
| საკრებულოს ფრაქციის „ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე | **დავით ღაღანიძე;** |
| ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ | |
| თავმჯდომარე | **ბაადურ რევაზიშვილი;** |

საკრებულოს ფრაქციის **„ქართული-ოცნება დემოკრატიული საქართველო“** თავმჯდომარის მოადგილეები: **ზაზა ტატულიშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ მუსაევი, ოთარი ესიტაშვილი, თამარ ხატიაშვილი.**

საკრებულოს ფრაქციის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილეები: **გიგი გიგიტელაშვილი, აბრამ მახარიაშვილი, გელა ჭვრიტიძე, ეთერი გურგენაშვილი.**

საკრებულოს წევრები: **ივანე კირვალიძე, ნიკოლოზ მაისურაძე, გივი ლაფაური, გიორგი ქართლელიშვილი, ალექსი ძულიაშვილი, ბაადურ გულიაშვილი, ზაქარია გრიშიკაშვილი, ნინო ომანიძე, იმედა კევლიშვილი, ივანე დალაქიშვილი, მერი მაისურაძე, რუსუდანი იმერლიშვილი, რამაზი ჩეკურიშვილი, ალექსანდრე კუპატაძე, გელა ესიტაშვილი,** (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

**სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ნათია ვაყელიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **ზურაბ სახიაშვილი;**

ა(ა)იპ თელავის ექსტრემალური სპორტის კლუბის პრეზიდენტი **ოთარ მდივნიშვილი;**

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**

**საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეები;**

ა(ა)იპ თელავის ექსტრემალური სპორტის კლუბის წარმომადგენლები;

მოქალაქე **ელენე ჩხუბიანი;**

**სხდომის** თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა დღის წესრიგის პროექტი.

**სხდომის** თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მერის პირველი მოადგილის ნ.მეტრეველის არ ყოფნის გამო საკითხებს წარმოადგენს ზ.სახიაშვილი.

**გ.გიგიტელაშვილმა** მოითხოვა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ განცხადების გაკეთების უფლება.

**აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:**

<u>**დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს. ზ. სახიაშვილი
11.00სთ-დან 11.20 სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის ექსტრემალური სპორტის კლუბისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ზ. სახიაშვილი
11.20სთ-დან 11.40 სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელენე ჩხუბიანისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს. ზ. სახიაშვილი
11.40სთ-დან 12.00 სთ-მდე

4. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ;

მომხს. ზ. სახიაშვილი
12.00სთ-დან 12.20 სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზირებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის ვადის გაგრძელების შესახებ;

მომხს. ლ. კოჭლოშვილი
12.20სთ-დან 12.30 სთ-მდე

6. „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ;

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.30სთ-დან 12.40 სთ-მდე

7. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 სექტემბრის N43 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ტ. გალახვარიძე
12.40სთ-დან 12.50 სთ-მდე

8. სხვადასხვა

**წარმოდგენილი სახით დღის წესრგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.**

1.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ;

მომხს. ზ. სახიაშვილი
11.00სთ-დან 11.20 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ი.დალაქიშვილმა** დასვა კითხვა პროექტში წარმოდგენილი მიწის ნაკვეთის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ.

**ბ.რევაზიშვილმა** აღნიშნა, რომ თავის მხრივ მუნიციპალიტეტმა სახელმწიფოსაგან უნდა მოითხოვოს ალაზნის გამზირზე მდებარე მიწის ნაკვეთის გადმოცემა, სადაც მოეწყობა რეკრეაციული სივრცე.

**დ.ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის ტერიტორიაზე ნებისმიერი განსახორციელებელი პროექტი შესაბამისობაში უნდა იყოს განაშენიანების გენერალური გეგმის პროექტთან.

**გ.გიგიტელაშვილმა** აღნიშნა, რომ სოფელ გულგულის მოსახლეობა ინფორმირებული უნდა იყოს აღნიშნულთან დაკავშირებით და მნიშვნელოვანია მათი აზრი.

**თ.ხანჯალიაშვილმა** აღნიშნა, რომ შესაბამისი კომისიის მიერ განხილულია საკითხი და არანაირი წინააღმდეგობა არ გამოკვეთილა.

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **20( ოცი)** წევრმა.

**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 12 (თორმეტი) წევრმა:** გ.გიგიტელაშვილმა, რ.იმერლიშვილმა, ბ.რევაზიშვილმა, ა.კუპატაძემ, ე.გურგენაშვილმა, მ.მაისურაძემ, რ.ჩეკურიშვილმა, ი.დალაქიშვილმა, ზ.გრიშიკაშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, ი.კევლიშვილმა, ნ.ომანიძემ.

2.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „თელავის ექსტრემალური სპორტის კლუბისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხს. ზ. სახიაშვილი
11.20სთ-დან 11.40 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: **ო.მდივნიშვილმა** ისაუბრა კლუბის სამომავლო გეგმებზე.

**რ.იმერლიშვილმა** დასვა კითხვა კლუბის დაფინანსების საჭიროების საკითხებზე.

გადაწყვიტეს: **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **29 ( ოცდაცხრა)** წევრმა.

**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03 (სამი) წევრმა:** ნ.ომანიძემ, მ.მაისურაძემ, ე.გურგენაშვილმა.

3.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ელენე ჩხუბიანისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხს. ზ. სახიაშვილი
11.40სთ-დან 12.00 სთ-მდე

აზრი გამოთქვეს: ა.მახარიაშვილმა აღნიშნა, რომ სოფელ ნაფარეულის მოსახლეობისათვის საკითხი ნამდვილად აქტუალურია, შესაბამისად შეიძლებოდა საიჯარო ქირა ყოფილიყო საკმაოდ მიზერული.

თ.ხანჯალიაშვილმა აღნიშნა, რომ ქონების გადავცემთ აუქციონის გარეშე, შესაბამისად დაინტერესებულ მხარეს უკვე ვაყენებთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში.

ბ.გულიაშვილმა მხარი დაუჭირა ა.მახარიაშვილის მოსაზრებას.

საკრებულოს წევრების მიერ აღინიშნა, რომ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა გავითვალიწინოთ მუნიციპალიტეტის ინტერესები.

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29 ( ოცდაერთი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: ნ.ომანიძემ.

საკითხის განხილვას არ ესწრებოდა : 02(ორი) წევრი: ი.კევლიშვილი, ზ.გრიშიკაშვილი.

4.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხიდან ამოღების შესახებ;

მომხს. ზ. სახიაშვილი
12.00სთ-დან 12.20 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29 ( ოცდაერთი) წევრმა.

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: ნ.ომანიძემ.

საკითხის განხილვას არ ესწრებოდა : 02(ორი) წევრი: ი.კევლიშვილი, ზ.გრიშიკაშვილი.

5.მოისმინეს: თელავის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის, ავტობუსების გაჩერებებზე მოდერნიზირებული და ენერგოეფექტური მოსაცდელების მოწყობის ორგანიზების შესახებ თემატური მოკვლევის ჯგუფის ვადის გაგრძელების შესახებ;

მომხს. ლ. კოჭლოშვილი
12.20სთ-დან 12.30 სთ-მდე

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 29 ( ოცდაერთი) წევრმა.

**საკითხის განხილვას არ ესწრებოდა : 03(სამი) წევრი:** ი.კევლიშვილი, ზ.გრიშიკაშვილი, ა.ძულიაშვილი.

<u>6.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N22 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ - ნორმატიული აქტის მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების ვადის გაგრძელების შესახებ;

მომხს. ნ. ვაყელიშვილი
12.30სთ-დან 12.40 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **25 ( ოცდახუთი)** წევრმა.

**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 04 (ოთხი) წევრმა:** ი.დალაქიშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, მ.მაისურაძემ, ნ.ომანიძემ.

**საკითხის განხილვას არ ესწრებოდა : 03(სამი) წევრი:** ი.კევლიშვილი, ზ.გრიშიკაშვილი, ა.ძულიაშვილი.

<u>7.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 სექტემბრის N43 დადგენილების „თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გეოგრაფიული ობიექტების სახელდებისა და ქუჩების, მოედნების, გამზირების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ;

მომხს. ტ. გალახვარიძე

12.40სთ-დან 12.50 სთ-მდე

<u>გადაწყვიტეს:</u> **დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი** (აღნიშნულ გადაწყვეტილებას **მხარი დაუჭირა** სხდომაზე დამსწრე საკრებულოს **26 ( ოცდაექვსი)** წევრმა.

**კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 03 (სამი) წევრმა:** რ.ჩეკურიშვილმა, გ.ჭვრიტიძემ, ნ.ომანიძემ.

**საკითხის განხილვას არ ესწრებოდა : 03(სამი) წევრი:** ი.კევლიშვილი, ზ.გრიშიკაშვილი, ა.ძულიაშვილი.

<u>8.მოისმინეს:</u> „სხვადასხვა“

**გ.გიგიტელაშვილმა** აღნიშნა, რომ საკრებულოს უნდა იმუშაოს ქ.თელავის განაშენიანების გენერალურ გეგმაზე.

მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საზეიმოდ იქნა გახსნილი უნივერსიტეტის მიმდებარედ სპორტული კომპლექსი, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ უხარისხოდაა შესრულებული სამუშაოები.

მის მიერ აგრეთვე აღინიშნა, ქალაქის გზებზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

განსაკუთღებული აქცენტი იქნა გაკეთებული უპატრონო ცხოველების მიერ ქალაქში წარმოქმნილი პრობლემების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარე

GEORGIA TELAVI MUNICIPALITY COUNCIL
23129135

თენგიზი მთვარელიშვილი